მიმდინარე წლის 2-4 სექტემბერს სომხეთში, ქალაქ ერევანში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი - **„ისტორია და კულტურა ანტიკურობიდან თანამედროვე პერიოდამდე“,** რომელიც ორგანიზებული იყო სომხური სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრ „გეჰარდისა“ და თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ინსტიტუტის დირექტორმა, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა - **გიორგი ჭეიშვილმა** (მოხსენება: „Inclusion by Design: Byzantine Ideological Construction of Georgia as Imperial Space“); მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა - **ეკა კვაჭნატირაძემ** (მოხსენება: „Typological Markers of Medieval Armenian Historiography (in Comparison with Georgian and Byzantine Historiography)“); მთავარმა მეცნიერ თანამშრომელმა - **ლავრენტი ჯანიაშვილმა** და უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა - **ნათია ჯალაბაძემ** (მოხსენება: „Historical Memory, Competing Narratives and the Pole of Science in Conflict Transformation: The Georgian-Ossetian Case“); უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა - **ალექსანდრე თვარაძემ** (მოხსენება: „The Hundred Years`Chronicle“: Historical Materials about the Mongols and the East“); მეცნიერ-თანამშრომელმა **სოფიო ქადაგიშვილმა** (მოხსენება: „At the Crossroads of Identities: Mkhargrdzeli/Zakarids in Medieval Georgian and Armenian Historiography“).